ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 10 1883—1895 15—30 მაისს.

## თბილისის თავად-აზნაურთა საბანკო კრების გამო.

ყველას გვგონია, ვითომ ჩვენი საზოგადოება შევნებასა და თავის გზის გაკვალვაში წალმართიან და საუკეთესო გზას ადგია. ასე ვფიქრობთ, ვითომ დავშორდით იმ ხანას, როდესაც მრავალი შეცდომა, წინდაუხედაობა, ოსტატობა და თვალთმაქცობა წარამარა ტყვრებოდა საზოგადოების ვითარებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ფიქრი ეხლანდელი დროის შესახებ მხოლოდ ოცნება იქნება და დაწინაურების ნაცვლად სულ სხვას ვხედავთ.

ჯერაც თურმე დიდი მანძილი დაგვრჩენია იმ სანეტარო მიჯნამდე მისასვლელად, რომ ყოველივე ჩვენი ავან-ჩავანი სავსებით გვქონდეს გათვალისწინებული და ყოველგვარი შინაური თუ გარეგანი მოვლენა კარგად გვქონდეს აწონ-დაწონილი და მსჯავრდადებული. მაგრამ წინად თუ ასეთი გზა-გაუგნებლობა ადვილი წარმოსადგენი იყო, რადგანაც სხვა და სხვა ნაირი უცხოელთა სიხარბე მუდამ აწიოკებდა ჩვენს ქვეყანას და მით ფრთას აკვეცდა ბევრ საკეთილო მისწრაფებას,—ამისათვის ისე დასაძრახი არ ვიქნებოდით რასაკვირველია,—მაგრამ ეხლა, როდესაც მრავლად გვყავს არამც თუ საშუალოდ, არამედ უმაღლესად ნასწავლებიც კი, რა გვემართება, რომ სულ უბრალო ჭეშმარიტება, სულ უბრალო გამოცანა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ გამოგვირკვევია და ვერ შეგვიტყვია!..

რა გვემართება, რომ ადვილი და ძალიან მარტივი გამოსარკვევი საქმეები უშეღლებლად გაგვიზვიადებია და გაგვიჭიანურებია, და მთელ ჩვენს ძალღონეს ტყუილ უბრალოდ გამოუსადეგრად და გამოუზოგებლად ვხარჯავთ. რას უნდა მივაწეროთ ის თვალთმაქცობა, რომ ზოგიერთ ვაჟბატონებს საზოგადო შესაკრებელი ადგილი თავის ღირსებასმოკლებული არსებობის გამოსაჩენად მიუმჩნევიათ და ოსტატურის სიტყვებითა და კილოთი ხალხის ჭკუის მასწავლებელ ვითომდა ქვეყნის გულ-შემატკივარ პირებათ მოევლინილან, და ამნაირად საზოგადოებას ავ-კარგის გარჩევის ნიჭი დახშობია, თანაც ზოგიერთის მოხერხებით ისე მოჯადოებულა, რომ პირუთვნელი მსჯავრის გზა-კვალი დახშობია.

დიახ, ჭეშმარიტად სამწუხარო მოვლენას ვხედავთ ეხლანდელ დროში. დააკვირდით ჩვენი საზოგადოების კრებებს, სადაც უნდა იყოს, თუ ყველგან არ წააწყდეთ ამისთანა სამწუხარო მოვლენებს.

შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ, თუ გინდ თბილისის თავად-აზნაურობის კრებები, რომელთაც ასე უხვად აქვსთ მიზიდული მრავალთა ყურადღება, და რომელნიც უმრავლესობისათვის, თითქმის, ერთ უდიადეს საყურადღებო ასპარეზად არის მიჩნეული. რასაკვირველია ყველას არ შეუძლია ამ კრებებზე დასწრება, რადგანაც ყველა ხომ თბილისში არ არის. ამისათვის ადამიანი იმ გზას მიმართავ, რომელიც კი არის უტყუარ საშუალებათ მიჩნეული რიგიან ქვეყნებში და რიგიან საზოგადოებაში, ე. ი. ჟურნალ-გაზეთობაში ეძებ ყოველ გვარ ამბავს, რომ მით დაიკმაყოფილო ცნობის მოყვარეობა და წარმოიდგინო ცხადად ის მსჯელობა—ბაასი, რომელიც საზოგადო საქმის გულშემატკივართ ჰქონიათ. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენთვის ეს გზაც თურმე დახშული ყოფილა. რა ამისთანა რთულია და გაურკვეველი ჩვენი საზოგადო ცხოვრება, რომ ასეთი რამ შეუძლებელი იყოს! და არც არაფერი იქნებოდა გაურკვეველი, რომ ყველას გულში წრფელი გრძნობა ღელავდეს და ყველა საქმის დახმარების სურვილით იყოს აღჭურვილი.

მაგალითად რითი ავხსნათ «ივერიის» მე-106 №-რის ფურცელზედ მოყვანილი ერთ-ერთ მჭევრმეტყველის მიერ რიხიანად წარმოთქმული სიტყვები და დამტკიცება, რომ იმერლები და ქართლელები ერთნი ვართ, «სახლი-კაცები», «სისხლ-ხორცი»-ო და სხვ... ნუ თუ ამის მსმენელი კრება ისეთი უსუსური და გზა-გაურკვეველი იყო, რომ ასეთი ჭეშმარიტება კიდევ საკამათოდ და საეჭვოდ მიაჩნდა! ნუ თუ ორი დღის შემდეგ გაისმა მხოლოდ პასუხი ამ კითხვის შესახებ, თუ იყო კი ეს კითხვა გამოწვეული მართლაც რაიმე მიზეზით!.. ორატორი ამბობს, რომ «გუშინ წინ ვერ დავესწარი და შევიტყე», რომ ერთ პირზე უთქვამსთო: „ევ მოსული არის, ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვსო" და სხვ... მაშ ორი დღის განმავლობაში, დავიჯეროთ, ერთი პირიც არ გამოჩნდა ამაზედ სიტყვის ამომღები და მსჯავრის წარმომთქმელი? მაგრამ, თუ კი ადამიანი მხოლოდ სიტყვით მოხიბლვას მოიწადინებს, მას ხომ უმიზეზოთაც შეუძლია შეკმაზოს თავისი სიტყვა და მით თავი მოაწონოს საზოგადოებას. ან კიდევ მეორე მჭევრმეტყველის რიხიანად წამონასროლი სიტყვები: „მთელი საქართველო ჩემი ქვეყანაა; ყოველგან გავჩნდები, როცა ჩემი წმიდა მოვალეობაა ჩემის ქვეყნის სამსახური და სადაც კი ქართული ენა ისმის, (ეს კი ის ვაჟბატონია, რომელსაც შარშანდელ კრებაზედ სულთამხუთავივით უნდა დასდგომოდით, ხუთიოდეჯერ შეგეჩერებინათ და ძლივს თუ ამოაღებინებდით ქართულად სიტყვას, ისიც ძალიან იშვიათად.) ყველგან ჩემი ქვეყანაა"... და სხვ... (იხ. „ივერია" 104 №-რი). მართლაც მოსაწონია ეს სიტყვა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ სიტყვას საფუძვლად აქვს პირნათელი და ღვაწლშემოსილი მიმართულება, რომელიც უტყუარი თანამსრბოლი უნდა იყოს ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც კი აღაღებს ბაგეს ასეთის სიტყვების სათქმელად, თორემ თუ ამისთანას ვერას ვამჩნევთ მთქმელს, პირიქით სულ სხვას ვხედავთ მის ქცევა-მოქმედებაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ უნდა გიკვირდეს ადამიანს მხოლოდ ენის მოხერხება და გეცოდებოდეს ის საზოგადოება, რომლის ჭკუის მასწავლებელ მოქადაგეთ ასეთი პირები გამოდიან!..

ყველას თავი დავანებოთ, მაგრამ რითი ავხსნათ, რომ „ივერიის" წამკითხველს ამნაირი შთაბეჭდილება გამოგაქვს: ერთს მხარეს მრავლისგან უმრავლესი ტყვია-წამალი უსროლია, ლაპარაკით ხომ იმდენი ულაპარაკნია, რომ საერთო ანგარიშში რომ ვერ დაუტევიათ, ცალკე სიტყვებადაც კი დაუბეჭდავთ. ეხლა ეკითხები ადამიანი თავის-თავს: ამ მჭევრმეტყველებს ან უთუოდ ენის ქავილი ასტეხიათ, და თავის მჭევრმეტყველების სავარჯიშოდ მიუმჩნევიათ ბანკის არჩევნები, ან და რაღაც მიზეზი სხვა უნდა ყოფილიყოს. რას აგრძელებს ერთი მხარე სიტყვას, როდესაც მეორე მხოლოდ რამოდენიმე წინადადებას ამბობს (რასაკვირველია «ივერია»-ში მოყვანილის სიტყვების მიხედვით). თურმე ნუ იტყვით, ასე მოკლე მოწინააღმდეგე დასის სიტყვები თვით „ივერიის" ბრალია, თორემ კრებაზედ მათ ბევრის წილად უფრო მეტი ულაპარაკნიათ. ეს იყო კიდეც მიზეზი, რომ „ივერიაში" სიტყვა-უხვმა დასმა ასეთი რიხით და ზეიმით მიიტანა იერიში ყოველ მოწინააღმდეგის სიტყვაზე.

როგორც ნამდვილი წყაროებიდგან შევიტყეთ, და რაიც გვიდასტურეს მრავალმა კრებაზე დამსწრე ადამიანებმა, სწორედ ამ დასკვნას უნდა დავადგეთ, რომ კრებაზე ნალაპარაკევსა და „ივერიაში" დაბეჭდილს „შუა აზის დიდი მზღვარი". ასე რომ გვებრალება თბილისს გარეშე მყოფი მკითხველი, რომელიც ამაოდ დამაშვრალა, თავის ცნობის-მოყვარეობა „ივერიის" ანგარიშის კითხვაზე მიუმართავს და ამაზედ რაიმე დასკვნა დაუმყარებია. ამ ნიადაგზე დამყარებული აზრი იქნება ცალკერძი, და პირუთვნელობას მოკლებული, რადგანაც ერთის ნალაპარაკევს ვკითხულობთ სრულად და მეორე მხრისას კი ნაკბეჩნაკბეჩად მოყვანილს, შეკვეცილს და ელფერ მოკლებულს. ეს განსხვავება ერთისა და მეორე დასის ნალაპარაკევში „ივერიას" რათ მოსდის, ხომ კარგად გვესმის და ვიცით, თუმცა ვერც ასე ზომას გადასულათ წარმოვიდგენდით. მაგრამ თურმე ნუ იტყვით, ეს სამწუხარო სენი სხვა ადგილობრივ გაზეთებსაც გადასდებიათ. რა არის ამის მიზეზი? ამას შეგნებული მკითხველი საკმარისად წარმოიდგენს, რომელმაც ასე საოცრად შეაძრუწუნა „გმირთა გმირნი", ბაყბაყ-დევნი...

აქ უნებლიეთ გვაგონდება ერთი ამბავი. ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე არის ერთი სამთავრო სახელად ბულღარეთი. 1878 წელს იგი განთავისუფლდა თათრების მონებისაგან და ერთი იმ დროის მამულისშვილი, რომელიც ერთი მეთაურთაგანი იყო, მტარვალების საწინააღმდეგოდ მებრძოლი, საბოლოოდ მთავარ მინისტრად გახდა თავის თანამემამულეებში. სამშობლოს სასიქადულოდ მიაჩნდა ასეთი ღირსეული მამულისშვილის უფროსობა. მაგრამ ხანი გამოხდა. გატაცებულმა მამულის ტრფიალმა გულგრილობას დაუთმო ადგილი. თანდათან ქვეყნის გულშემატკივართ ეჭვი შეეპარათ მის გულ-წრფელობაზე, მაგრამ როგორ დააჯერებდი უმრავლესობას, რომელიც იმ პირის წარსულის ღვაწლით მოჯადოებული სასოებით იხსენიებდა მის სახელს. მაგრამ დრო და ხანმა თანდათან გამოამჟღავნეს, რომ წინანდელი გმირთა გმირი, დიადი აზრის მებრძოლი თანდათან თავისი თავმოყვარეობის ჯინის ალმასრულებელი გამხდარიყო. ამასობაში უმადურობის ხმამ მის შესახებ ძალიან იმატა. მაგრამ ზოგიერთი ადამიანი ხომ სუსტია: უკანასკნელ ღონესაც არ დაშურავს, თუ თავმოყვარეობა გაუზვიადდა. დაჭირდა ამ მოღვაწეს საკუთარი პიროვნების ქება-დიდების გუნდრუკის მკმეველნი. და ბეჭდური სიტყვაც—ეს დიადი საკაცობრიო ძალა, მის მომხრე გაზეთებში მიზნად მხოლოდ მის პიროვნების გამართლებას ისახავდა. საბოლოოდ მაინც პატივმოყვარეობის გადამკიდე იმ მოღვაწემ წაიმტვრია ფეხი და ყველას განსაცვიფრებლად სულ სხვა ნაირად გამოაშკარავდა მისი ღვაწლი. რამდენი ოპპოზიცია იმსხვერპლა ამ გამოჩენილმა მამულიშვილმა ვითომდა სამშობლოს ერთგულებისათვის!..

დიახ, უნებლიეთ გაგონდება ასეთი მაგალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თები და განცვიფრებას ეძლევი ადამიანი. გაოცებას მოდიხართ ასეთი მაგალითების შემხედვარე: ან საზოგადოება რით ვერ იგებს დროზე სინამდვილეს, ან ადამიანი პირველად პირნათლად გამოსული საზოგადო სარბიელზე რათ იცვლება და წვრილმან და უმნიშვნელო მისწრაფებას ემონება? რასაკვირველია, დიდი შეცდომა იქნება, რომ ჩვენ სტამბულოვის ოდენა ძალა და მოხერხება დავწამოთ იმ პირს, რომელმაც ეს სტამბულოვი მოგვაგონა, მაგრამ კნინობით თითქო წააგავსო—გაიფიქრებ ადამიანი, რადგანაც ამ პირის გუნდრუკის საკმევად გადაქცეულა მისი საკუთარი, და სამწუხაროდ, ერთად ერთი საერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ჩვენ მხოლოდ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ცვალებადი ყოფილა სწორედ ადამიანის ბუნება; თურმე შესაძლოა, რომ წალმართი მიმართულების ადამიანი გაუკუღმართდეს, და გატაცებული მოღვაწე გაქსუვდეს და ეს მაგალითები ჩვენდა სამწუხაროდ ძალა უნებურად უნდა გვახსოვდეს. ბუნება ასეთი დაუდეგარი ყოფილა, და საზოგადოებას დიდი სიფრთხილე მართებს იმ დროს, როდესაც რომელიმე პირის ძველი მოხვეჭილი სახელით აწმყოის მის უნაკლულობას ამტკიცებენ. და როდესაც ვინმეს განუზრახავს ზოგიერთი ამისთანა პირების ნაკლულოვანების გამორკვევა, საერთო საქმის საკეთილოდ, მაშინ საზოგადოებაც და ბეჭდური სიტყვაც მათთან ერთად, ძმურად, დასაბუთებით უნდა არკვევდეს აღძრულ ეჭვს, თითონაც რწმუნდებოდეს და მასაც არწმუნებდეს და არა ვაშა-ვაშას ძახილზე და ტაშის კვრაზე ამყარებდეს თავის მსჯავრს და გამარჯვებას. მეტადრე იმ ვაშა-ვაშასა და ტაშის-კვრაზე, რომელიც სრულიად არ არის ნაყოფი შეგნებულად მოწელებული სიტყვების, არამედ რაღაც წუთიერი გრძნობათა გამწვავების შედეგია. ყველამ ძლიან კარგად უნდა იცოდეს, რომ მარტო ამითი გამარჯვებას ვერავინ იგემებს. და ერთი მხრის ნალაპარაკევს ვრცელი დაბეჭდვით და მეორე მხრის ნათქვამის ბოლო-შეგლეჯით ძალაუნებურად ეჭვს ჰბადავს თავის სიმტყუნისა და ნაკლულევანებისას ის დასი, რომელიც ამ იარაღს ასე შეეჩვია. მოგვეკით პირუთვნელი, ელფერ-შეუცვლელი ანგარიში, და საზოგადოებამ იცის, რა დასკვნასაც გამოიყვანს, და რა აზრს დაადგეს, თორემ უამისოდ ცრუ დასკვნა მაინც ბოლოს ვერ გაატანს და საზოგადოებაშიდაც გამწვავდება და უმადურობა, ეხლანდელთ ქართველისათვის ფრიად სავნები და საუბედურო, არ მოისპობა. და ამის ხელის შემწყობიც ხომ ღირსეულ მსჯავრს მიიღებს შთამომავლობისაგან. „ვისაც აქვნან ყურნი სმენად, ისმინენ“.

## საყურადღებოთ.

ყოველ ქვეყანაში, ყოველი ხალხისაგან, გარდა ველურისა, მიღებულია, რომ თავიანთ გამოჩენილ შვილების ოცდა-ხუთი წლის მოღვაწეობა იდღესასწაულონ ხოლმე. ამ დღესასწაულს ეძახიან «იუბილეის». ჩვენ ქართველები არ მივდევთ ამ ჩვეულებას, ალბათ მიტომ, რომ ოც-დახუთი წელიწადი არ მიგვაჩნია საკმარისათ, და მეტსა ვთხოულობთ. კეთილი და პატიოსანი!. მაგრამ დღეს გამოდის, რომ ორ-მოც-და-ათიც თურმე არა კმარა და ასი უნდა იყოს!?. ცხადია, რომ ეს დროს გაჭიანურება, ნამეტანი სურვილითა და უზომო სიყვარულით მოგვდის: ისე გვიყვარს ჩვენ ჩვენი მოღვაწეები, რომ სასიკვდილოთ არ გვემეტებიან, სულგრძელობით მოველით და ვუცდით საუკუნის შესრულებას და ის ანდაზა კი გვავიწყდება, რომ „თქვენს სულგრძელობას ჩემი დღეგრძელობაც ეჭირვებაო“. სწორეთ ორ-მოც-და-ათი წელიწადია, რაც გამოსულა სალიტერატურო ასპარეზზე ჩვენი საყვარელი მოხუცი, პატიოსანი მოღვაწე თ. რაფიელ ერისთავი და დიდი უმადურობა იქნება ჩვენგან მის შესახებ გულ-მავიწყობა და ჩვეულებრივი დაუდევრობა. („კვალი“).

აკაკი.

## შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

მოხარული ვარ, რომ ჩემმა შენიშვნამ „ზეპირ-გადმონაცემების“ მოგროვების შესახებ, ასეთი თანაგრძნობა გამოიწვია. ზოგიერთები პირდაპირ ჩემ სახელზე აგზავნიან თავიანთ წმინდა—წვლილს და მთხოვენ: „როგორც შენ გინდოდეს, ისე მოიხმარეო!» გულითად მადლობას ვუძღვნი ამ პირებს და ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ ამ შემოსაწევარს სხვა მიზანი არა ექნებარა გარდა ზემოხსენებულთ «ზეპირ-გადმონაცემების» შეკრებისა. აგრეთვე ვთხოვ მათ, რომ ჩემ სახელზე ნუ აგზავნიან, რადგანაც მე ერთ ადგილზე არა ვარ ხოლმე, დღეს რომ აქ ვარ, ხვალ—იქ და ზეგ კიდევ ვინ იცის, სად ვიქნები? უმჯობესი იქნება, რომ პირდაპირ «კვალის» რედაქციაში გაგზავნონ ხოლმე. ნუ იფიქრებენ, რომ მე მაინც თავი არ დაუდვა ამ საქმეს და ჩემი უკანასკნელი ძალ-ღონეც არ შევწირო. ამასთანავე, რადგანაც ძნელია ამისთანა საქმის ყურადღება, მე მივმართე საიმედო და ამ გვარ საქმეში, ყოვლად სასარგებლო პირებს და იმათი დახმარებით იმედი მაქვს მოლოდინი გამართლდეს. ესენი ბრძანდებიან: დეკანოზი დ. ღამბაშიძე, რედაქტორი «მწყემსის»-ა *), გიორგი წერეთელი, ალექსანდრე გარსევანაშვილი და ექიმი ივ. ელიაშვილი. ამათ დაუკითხავათ და ამათთან შეუთანხმებლათ «ზეპირ-გადმონაცემების» შესახებ არა გადაწყდებარა. მსურველებს შეუძლიათ საქმის შესახებ თვითეულს ამათგანს მიმართონ ხოლმე,—როგორც რაოდენობა შემონაწირთა, ისე სახელი და გვარი შემომწირველთა და აგრე საქმის წარმოების მსვლელობა თავ-თავის დროზე ყოველთვის გამოცხადებულ იქნება «კვალში» და «მწყემსში». („კვალი“).

აკაკი

*) დიდის სიამოვნებით ვასრულებთ ყოველ შრომას ამ საგნის შესახებ.

რედ.

## ათეისტი და ლოცვის მნიშვნელობა.

უკანასკნელს დროს დიდი ლაპარაკია აღძრული მწერლობაში შესახებ ლოცვისა და საზოგადოდ ღვთის ვედრებისა. ამიტომ უმნიშვნელო არ იქნება, აღვნიშნოთ შემდეგი შემთხვევა, რომელიც ერთს შვედელს მწერალს და ცნობილს დრამატურგს სტრინბერგს გადახდა. სტრინბერგი დიდი ათეისტი არის, მაგრამ გულწრფელად აღიარებს ზედმოქმედებითს ძალას ლოცვისას, რომელიც მან თავისს თავზედ გამოსცადა. მის მცირე-წლოვანს ქალს ღამე ბნედა დაემართა, სტრინბერგმა, როგორც ექიმმა, უკეთესი ღონისძიება იხმარა, რომ ცოტაოდნად, მაინც შეემსუბუქებინა ავადმყოფისათვის ტანჯვა, მაგრამ, „მე და ჩემს მეუღლეს, ამბობს ექიმი, იმის მეტი აღარა დაგვრჩენოდა-რა, რომ გველოდნა, როდის გამოესალმებოდა ბავშვი სიცოცხლეს, მე საშინლად ვიტანჯებოდი. ასე მეგონა ჩემის სხეულის რომელიმე ნაწილსა მჭრიან-მეთქი, ეს ასეც უნდა ყოფილიყო; ის ჩემი შვილი იყო, ჩემი სისხლი და ხორცი, რომელშიაც მე დავნერგე ჩემი აზრები. მაგრამ, ყოველს ღონის მიებას მოკლებული, უიმედო ვიჯექ, და შევყურებდი ავადმყოფს, რომელიც თან-და-თან სიკვდილს უახლოვდებოდა. ჩემი ცოლი ცოცხალ-მკვდარი იატაკზედ დაეცა. უცებ, ვხედავ, ის წამოდგა, აღაპყრო ხელნი, თვალები ზეცას მიაჩერა, ტანით გასწორდა და ტუჩები აუთრთოლდა, მისი ნაზი არსება კვლავ იმედით აღფრთოვანდა, თვალები გაუბრწყინდა.

როგორ გაჩერებულხარ! მიბრძანა მან. მე ცალი ხელი ბავშვს შუბლზედ დავადე, მეორე გულზედა და გავჩერდი ასე, ჩემი ცოლი ჩუმად ლოცულობდა. ავადმყოფობა კი კვლავ უძლიერდებოდა ბავშვს.

—შეევედრე ღმერთს, მიბრძანა ცოლმა, რომ მოგვხედოს! ამ დროს მე კანტის აზრი მომაგონდა, (კანტის შეხედულებით, ლოცვით კაცს შეუძლიან უფლის მოწყალება გამოითხოვოს). მე მაინც არ შევუდექ ლოცვას. როდესაც ავადმყოფობამ ისე მოუარა უმაწვილს, რომ მის გამობრუნების იმედი სრულებით გადაგვიწყდა, მაშინ ცოლმა წამავლო ხელი და შემომძახა:

—ევედრე, ილოცე მისთვის!

მე დამავიწყდა ჩემი თავი, კანტის აზრები და ჩემი ათეისტობაც. ტუჩები ამითრთოლდნენ და მივიწყებული სიტყვები, რომელნიც ოცი წლიწადია არ გამხსენებია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოსთქვა ჩემმა ენამ. სიტყვებთან ერთად დამიბრუნდნენ წინანდელი აზრებიც და აზრებთან ერთად იმედი, სასოება, მიძინებულმა გრძნობამ გაიღვიძა, წელში გავიმართე და რაღაცა ძალ-ღონემ დამიარა ძარღვებში. მე მეგონა, რომ შემიძლიან ხელის მიკარებით დავუბრუნო ავადმყოფს სიცოცხლე, მე მინდოდა დამეყვირა: შეხედეთ, რა ადვილი და უბრალო საქმეა!" სწორედ იმ მდგომარეობაში ვიყავი, როდესაც სიზმარში ჭაერში ცურვას ვასწავლიდი ვისმეს. არ ვიცი, რას მივაწერო ასეთი მდგომარეობა? ამას-კი ვიტყვი, რომ ვიდრე მე ვლოცულობდი, ბალღი დამშვიდებული იყო, როდესაც შევწყვეტდი ლოცვას, ავადმყოფობა კვლავ უძლიერდებოდა მას. მგონი ოც-და-ხუთჯერ წავიკითხე მამაო ჩვენო... უმაწვილმა დაიძინა, უმაწვილი გადარჩა. („ივერია").

## საისტორიო მასალა, *)

### იოანე ბატონიშვილის წინადადება გიორგი მეXIII-დმი მირთმეული 1799 წელსა.

### მეფისა და წევრთა მეფისათა ჯამაგირი და წესდება.

უკეთუ მეფე გარდაიცვალოს, მაშინ რაც ცერემონიის რიგია, ყოველივე ესე უნდა აღსრულდეს, და აგრეთვე ყოველთა სამღვდელოთა წესთა თანა აქსთ რათა უწირონ საზოგადოდ მეფეს შვიდზედან, თუთხმეტზედან უთეთროდ ყოველმან ეფისკოპოსმან, არქიმანდრიტმან და მღვდელთა; და ამასთან მოიხსენებდენ ძველთა გარდაცვალებულთა მეფეთა და დედოფალთა და მეფეთ სქესთა მართ მადიდებლობით აღსრულებულთა; და ესე იყოს განწესება ეპისკოპოსნი წასახურავს ნურლა მიართმევენ მეფეთა — ეს იყოს მათ მიერ შესაწევარი. ნურცა საიმტვერიოსა ალილობენ ამისთვის, რადგან მეფეთა მიერ არიან დასმულნი ეპისკოპოსად და სამღვდელოდ განწესებულნი, მათიცა ვალია, რათა სულიერითა საქმითა ემსახურნონ მეფესა. ხოლო სხვებ ამას გარდა რაც აწირვინონ, მიერთმეოდეს საწირავი. ეს სახედვე მეფის ძეთა და ასულთა თვისცა მოექცნენ.

სხვებ, წელიწადში ერთხელ ჰსწირავდნენ თორმეტს სეკდემბერს და ქეთევან დედოფლის წინა დღეს, ანუ იმ დღეს, ყოველთა მართლ-მადიდებელთა მეფეთა გარდაცვალებულთათვის, და მოიხსენებდენ ერთობით გარდაცვალებულთა დედოფალთა, მეფეთ ძეთა, და ასულთა, აგრეთვე იხდიდნენ პანაშვიდთა, ესეც ვალად მათდა იყოს. ამას ყოველსა საქართველოსა შინა აღასრულებდნენ.

აგრეთვე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს ანუ არჩილ და ლუარსაბის წამების დღეს, რაც საქართველოში ქართველი მხედრობანი მტერთაგან ბრძოლაში დახოცილან, ყოველთა საზოგადოდ უწირავდენ და მოიხსენებდენ ერთობით, და პანაშვიდსაც გარდაუხდიდენ.

მეფის შობის დღეს ყოველნი სამღვდელონი უწირევდენ და სამადლობელ პარაკლისს გარდუხდიდნენ, აგრეთვე დედოფლისა და მემკვიდრისათვის და სხვებთა ისე მოიხსენებდენ.

### მეფის მეთ მემკვიდრეობისათვის.

**სამეოცდამეერთე.** თუმცა ღვთისადმი განსვენებულმან მამამან თქვენმან, მეფემან ირაკლი განაწესა ძმებზედან მოდევნებით მეფობა, და ამას ზედანცა აიძულა ხალხი, და დაიფიცეს, თუმცა არ იყო სჯულიერი სამართალი, მაგრამ ვჰგონებ მორჩილებისათვის ერთის მეორესა ინება ესე. და რადგან განწესება ესე ჰსჩანს მიზეზ შფოთისა სახლსა შინა სამეფოსასა, თქვენცა იხმარეთ მეცნიერება და შესაერთებლად ძმათა თქვენთა ინებეთ ესრეთ: თქვენ შემდგომად იყოს დავით, დავითის შემდგომად ვახტანგ და ესრეთ მიმოგდებით ძმათა შვილებთა შორის,

*) იხ. «მწყემსი»-ს № 9 1895 წ.

ვითარცა ხონთქრის გვარშიაცა არის ესე წესდება. გარნა ზემოხსენებულნი უკვე კანონნი და ქვემო-მოხსენებულნიც უნდა დაიცვას მეფემან, და თუ არა მიუმატოს რა კარგი, არღარა მოაკლოს რა, და ამ კანონით იაროს, მაშინ სამეფო ყოველთვის წარმატებაში იქმნების. თქვენს სიცოცხლეში ინებეთ ესრეთ: იულონ იყოს გორს მოსამართლეთა უფროსად, ზემოხსენებულის ჯამაგირით და სოფლებით; მუნე-ბურთ ხალხთა იგინი გაასამართლებდენ ამილახვარის თანდასწრებით, და რაც სამართალი მოხდებოდეს, აქ მდივანბეგების უფროსთან წარმოადგენდენ განაჩენთა პირებსა, და ესენი თქვენ მოგართმევდენ, და თუ არავინ დასჯერდეს მუნებურთ სამართალს, აქ იჩივლონ, და თუთხმეტი მინალთუნი შეიტანონ ხაზინაში მოჩივარმან და აქ გაუჩნდესთ სამართალი. აგრეთვე, ოდეს ჯარი კომლად დაჭირდებათ, მაშინ თვით ბატონის შვილი იულონი ამილახვარი თურთ და სხვა სარდლებით უკლებლად გიახლებოდენ, ხოლო სხვები ამილახვარის სახელოსა და საქმესა და არც სხვათა მოხელეთა საქმესა ხელსა არა რას შეახებდეს, არც ხალხს, სურსათსა და სხვასა რასმე შეაწუხებდეს. ეს სახედვე სხვანი ძმანი: რომელნიმე კახეთის მხარეს, რომელნიმე თათრებში და რომელნიმე მთებში და რომელნიმე თქვენთან იმსახურეთ, და ასე იყოს განწესებული. აგრეთვე თქვენი ძენი, აგრეთვე რომელიც მიიღებს მეფობას სხვათა მეფის ძეთა ეს სახედ პატივს სცემდეს და იმსახურებდეს, და ამ სახით ამყოფებდეს.

უკეთუ მეფის ძეს, რომელსაცა ერგებოდეს მეფობა, და იყოს უგუნური და არა შეეძლოს რა, ანუ ისევ მემკვიდრის შვილი, ანუ სხვა გონიერი ვინმე მიიღონ მეფედ ნაცვლად მისსა. და არცა ეს იქმნება ურიგო და მართლა ქვეყანის შესამატი საქმე, თუ რითაც ღონით შეიძლებოდეს თანხმობა იმერეთა და ქართლელთა მეფეთა შორის, რომელ შეერთდენ ეს სახედ: ოდეს ერთ ერთი მეფე გარდაიცვალოს ქართლისა ანუ იმერეთისა, უწინ დაშთომილი მეფე დასვან საზოგადოდ ქართლელთა და იმერთა; შემდგომად მეფისა *) იყოს მიმოგდებითა, ხან აქეთური მეფის ძე და ხან იქითური მეფის ძე დაჯდებოდენ მეფეთ. შემდგომად გარდაცვალებისა მეფისა მეფის ძეთ აქაურთ იმერეთსაც ჰქონდეთ მამული და იქაურთ ქართლშიაც და იმერეთშიაც. ხოლო მოხელენი, ვითარცა არიან, იმერთანი იყვნენ იმავე სახედ იმერნი, ქართლში ქართლელნი და კახეთში კახნი, თავეთის ჯამაგირებითა, აგრეთვე იმერეთის თავადთა მიეცეთ ქართლში მამული იკონომიისათვის, ოდესცა მივიდოდენ ქართლშია საცხოვრებლად. თუ ეს მოხდება მაშინ ღმერთი მოხედავს ჩვენს ქვეყანას.

*) ალბად „მეფობა“ უნდა იყოს.

## საერისთაოებისათვის.

სამოცდა მეორე. არაგვის საერისთაო ებაროს ისევ ვახტანგს, და იყოს არაგვის ნაიბი. გარნა შემოსავალი და სხვა დებულება, მეფის მიერ განწესებულთ მოხელეთ მიბარდებოდეს. და იყვნენ ამასთანაც მდივან-ბეგები, მთის, მოჩივრის ხალხის გასამართლებლად. ამასვე ეკითხებოდეს ჩერქეზისა და თაგურქურთაულისა(?) ქიშტების საქმე. სხვებ დაჯერებული იყოს თავის ჯამაგირს და სოფლებს. და იყოს შეკრული ფიცითა. ამის შემდგომ სხვა მეფის ძე, დაიდგინების ისევ ამ სახედ.

ქსნის ერისთავი ნურღა იწოდება ქსნის ერისთვის შვილსა არამედ ეწოდოს მოურავი. მთები ვითარცა მეფემან ირაკლი დასდო ისე იყოს. სამეფოდ დადებული ვაკე განეყოთ, სამ ძმათა შვილთა: დავით ერისთვისასა, ყულარ-აღასისს, და ალაბაბაშვილების, აზნაურთ გარდა მიეცეთ გლეხი სახასო. და ამ ერისთვის შვილებში, რომელიც იყოს გონიერი და მამულის ერთგული, გამოირჩიოს ორი: ერთი იყოს მთლად ქსნის, მოურავად წოდებული. ხოლო მეორე იყოს პატარა ლიახვის მოურავად წოდებული. ამათთან იყოს თითო სამეფო მოხელე მიჩენილი, რომე მთიურს სასამართლოში იგიცა დაესწრებოდეს (რადგან არაგუზედ ჰსჯულიერი მემკვიდრე არავინ არის, მაინც ვინც არიან მოემატოსთ ვაკიდამ ქართლში რამდენიმე სოფელი, რადგან არაგვის ერისთვის შვილებად იწოდებიან) მოურავთანა. *) და აგრეთვე რაც გამოსავალი არის ესევე მოხელე გამოაბარებდეს(?) და მიაბარებდეს ვისდაცა ჯერ არს, ხოლო მეფემან უბოძოს ათის თავი გამოსავალი ამ მთის მოურავთ, რადგან ამათაც ხარჯი ექმნებათ. სხვებ ვითარცა არიან აზნაურნი მოხელენი და მსახურნი, ისინი ისე უნდა იყვნენ, და ანგარიშა, ამ მთის მოურავს და მეფის განწესებულს მოხელეთ ერთად მისცემდენ. სხვებ აზნაურთ შეურაცხყოფა, და აკლება

*) ეს გვერდზეა მიწერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არლა ვისი იქმნება: მცირედ დანაშაულისათვის ქსენი გარდაახდევინებენ გლეხთა, ხოლო დიდის დანაშაულის მქონს მეფეს უნდა წარუდგენდენ და ყოვლსავე აცნობებდენ კარს; სხუათა ერისთვის შვილთა, არა აქუთ ნება მუნ შესვლისა და საქმობისა, ვითარცა ქიზიყსა შინა ენდრონიკეთა შვილთა, გარნა ამათ მოურავთა კიდე, და ესე მოურაობა იქმნების საშვილის შვილო და ვინმცა იქმნების უმჯობეს იგი დაიდგინებოდეს, და ესე მოურავნი თავეთ ცოლშვილითა თვისსა საკუთარსა ყმათა შინა ამყოფებდენ ვითარცა სხუანი მოურავნი, კახთა და თათრებისა.

## თავადთ ერთმანეთში მორიგებისათვის.

სამეოცდა მესამე. ყოველნი თავადნი, რადგან ყოველთვის ეჩხუბებიან ერთი მეორეს მამულსა ზედან, განყარეთ და თავ-თავის წილი მიეცით, და ერთმანერთს ყოველი მოდავე მოაშორეთ. აგრეთვე ეკკლესიების მამულიც გაარჩიეთ. და იყვნენ ურთიერთისადმი მშვიდობით. რომ ესენი მოცლილნი იყვნენ გარეშე მტრისათვის და ურთიერთისა მეორეს არლა იყოს კდომა და სიმძულვილი. ეს სახედვე აზნაურნი და მთის კაცნი და ბარისანი განარჩიეთ, რომ მრავალი ჩხუბია მიჯნებზედ.

## მამულის მუხანათისათვის.

სამეოცდა მეოთხე. თითქმის საქართველო ძუელთადვე შინა გამცემთა კაცთაგან დამდაბლდა, და ეს სახედვე ურჩებითა მეფეთ სქესთასა; მეფისა და მმართუელთაგან ქუეყნისა ნუ მიეცემათ ეს გუარი მიზეზი უსამართლოებისა, რომ ვერლა იპოვნონ კარგი, სამეფო, და იტანჯებოდნენ ესე გუარ: უკეთუ ამ გუარი ვინმე გაიქცეს და სხუასა ქუეყანის მეპატრონეს მიუვიდეს, ისევ დაუყუაოს მეფემან და მართებლობამან, მისწერონ, გაუგზავნონ კაცი, და იმის შეურაცხებისათვის ბოლოშიც მოითხოვონ და შეირიგონ და გულ სავსე ჰყონ. გარნა იგი გაქცეული ნუ იკადრებს, რომ ამ მტერს წინ გამოუძღვეს, და ანუ იმისის რჩევით ევნოს რაჲმე მამულსა ანუ საზოგადოებასა.

უკეთუ, უმიზეზოდ გაიქცეს ვინმე, იგიცა მოიპატიჟონ, და თუ არა ინება მოსვლა, ალერია მტერთან, დაუწყო ხდენა და ქურდობა ქვეყანას, მაშინ სათანადო არს მეფისა განცა, და მმართებელისაგანცა, რათა გამოიყუანონ იმის მამულისაგან მისნი ცოლშვილნი და იმ გაქცეულსაც შეუყენონ კაცნი თეთრით მოგებულნი, ანუ დაჭერით და ანუ სიკვდილით არ დაზოგონ იგი, გინდ მეფის ძე იყოს, გინდ მეფის მონათესავე ანუ სხუა ვინმე გუამი. მამულის მუხანათს არლა ჰქონდეს გარჩევა გუარებზედ.

უკეთუ, გაქცეულისა მამულია პატრონისაგან წაუხდეს ვისმე ყმა და დატყვევდეს, თუ რამ ნივთი ჰქონდეს, სახლში დაშთომილი გაეყიდოს, და უკანვე დაიხსნან. ტყვენი თუ ნივთი არ ჰქონდეს, ანუ მისი ყმა მიეცეს სამაგიეროდ. ანუ გაეყიდოს მისი წილი და მით დაიხსნან დაკარგულნი და დახოცილთა პატრონებს მიეცეთ სისხლი იმა მამულიდამ. ვითარცა არის მკულელზედ სისხლი გაჩენილი ვახტანგ მეფისაგან და წანახდენიცა ალუდვინონ.

უკეთუ, ურჩიოს ვინმე მეფის შთამამავლობათაგანსა ანუ თავადსა, ანუ აზნაურსა, გაქცევა და ურჩება, იმა მრჩეველსა ისე გარდახდეს ვითარცა დამნაშევესა; აგრეთვე ვინც თან გარდაყვეს, გაქცეულსა მას იგინიცა ისე დაისაჯნენ ვითარცა დამნაშევენი.

უკეთუ, გამოჩნდეს ვინმე მამულის მუხანათი, ანუ კაცის გაგზავნით ანუ წიგნის მიწერით, ანუ თვით ხალხსა შინა ავი მოლაპარაკე, და გამდრეკი ერისა, შეიპყრან იგი, და გამოიკითხონ, უკეთუ სხუაცა ჰყვა ვინმე, შემწე ამა საქმესა შინა, ანუ მისი ცოლ-შვილიც ერია, და უკეთუ არვინ ალმოჩნდეს, ის ამხანაგი მისი, მაშინ იგი დაისაჯოს, ვითარცა წესია, ჰსჯულდებასა შინა, ანუ დაბრმობითა თუალთათა, ანუ გაგლეხკაცობითა, ანუ დაკვრითა, აგრეთვე ამასთანაზიარნი. ხოლო უკეთუ არა ერიოს მისი ცოლ-შვილი, იმათ ხელი ნუ შეეხებათ. მხოლოდ ეს ერთი გუამი დაისაჯოს. სახედვე საკუთრად, მეფისა ორგულსა გარდახდეს, ეს სახედვე ტყვის მყიდველი დაისაჯოს. უკეთუ სამლვდელოთაგანი, ალერიოს ესე გუარსა უკვე საქმესა შინა, იგი განიხილონ სულიერთა შეკრებულებამან, და თუ განმტყუნდეს, მოხადონ პატივი სამლუდელო, გაკრიჭონ, და გააერისკაცონ, და მყრეთ რათცა განუწესოს სასამართლომან ისე დაისაჯოს. უკეთუ დედათაგანმან ვინმე იკადროს ეს გუარი საქმე, იგი დაიკარგოს რუსეთსა შინა ანუ გაგზავნილ იქმნეს ფშავსა შინა. აგრეთვე მეფის ძე დაუდგრომელი წარიგზავნოს რუსეთსა შინა, და უკეთუ არა, დააბან ციხესა შინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საისტორიო მასალა.

---

## ანანურის ტაძრის წარწერილობანი.

(დასასრული *).

ანანურის ტაძრის გალავანში არის აღშენებული ორი ეკკ. ერთი დასავლეთით ძველი ღვთაების ეკკ., მეორე შუა გალავანში საკრებულო ტაძარი მიძინებისა, ხოლო მესამე აღმოსავლეთით გალავან გარეთ ძირს მიდგმული გალავნისად. ესეცა ძველი, რომელზედაც სდგას სამრეკლო. ამა ეკკ. შესანიშნავი არა არის რა.

პირველი ძველი ღუთაების ეკკლესია არის აშენებული მეხუთე საუკუნეში (და რომელნიმე მოგვითხრობენ მეცხრე საუკუნეში). ძველი დაშთენილნი საბუთნი და ხელთ ნაწერნი არა სჩანს რა, დროთა ვითარებისა გამო მტერთ დაუწვიათ. მხოლოდ ამ ეკკლესიაში არის შესანიშნი ძეგლი ერისთავის, ოთხ სვეტზედ აღშენებული გათლილის ქვით, შიგნიდგან არის დახატული წმინდანების სახე, გარედგან ნათალ ქვაზედ არის წარწერა შემდეგი:

«დიდებითა ღვთისათა ჟამსა ოდეს ქართველთ მეფის ვახტანგისთა და ძისა მისისა კახთა მეფისა არჩილისათა ჵი უხანსა სოფელმან ძე ერისთვისა გიორგისა და კვალად ძმა ერისთვისა ოთარისა დის წული ამავე მეფეთა და ბატონის შვილის კახისა დომენტისი თვით მათგანვე მიჩნეული დიდად სახელ გასული ყოველთაგან უწარჩინებულესად დადგინებული კაცი სრული ყოვლითა საღმრთო სიყვარულით აღსავსე და სამსოფლიოთა საქმითა ყოვლითურთ უკლებლად გათავებული სრულად საქართველოს მდივან ბეგი ედიშერ უდროოდ გარდასცვალა მე თანა მისა ხვედრემან მისმან უძეოდ გარდავლენილმან აბაშიძის ასულმან ანახანუმ აღვაშენე ოთხი სვეტი ჯსე გუმბაზი საფლავთა ჩვენთა ზედა აღვასრულეთ ცხოვრება ჩვენი დავშთით უძეოთ, ვაჟი არ გვეღირსა ხუთ ოდენ ქალი გვიბოძა მოწყალემან აღარ მოიხსენა თვისი წყალობა ჩვენ ზედა გამყარა ტკბილს სულს და ხორცსა. ოკერი მყვანდა პატრონი, მაზლი ერის თავი ოთარი თვალი სინათლე ძმას უკან დიდად დაჭმუნვებული კვლავ დღე იგიცა გათავდა დავრჩი უპატრონო ვითარცა ძე არ მიბოძა მე ღმერთმან სახელი და ხსენება მის სახელოვნისა კაცისა დაიკარგებოდა ამაოდ. მოვიგონე მე საწყალმან ანახანუმა შვილის სანაცვლოდ ამაზედ ვიხსენებოდეთ ღვთის გულისათვის ვისცა მისი სიკეთე ესმოდეს ანუ აწ ისმენდეთ მოკვიხსენებდეთ აქა მოსულნი მჭირველნი წმიდას საიდუმლოში მოგვიხსენებდეთ უმწირველნი შვიდობას გვეტყოდეთ და ჩვენის ამოვარდნისთვის შეგვიბრალებდეთ ქორონიკონს ტნიბ ენკენისთვის ია.».

მეორე სობოროს მიძინებისას კარებთან აქვს კედელზედ წარწერა:

«ქ. ჵი წყევისა დამხსნელო და ადამ პირველისა მამისა ჩვენისა კვალად სამოთხედვე შემყვანებელო ასულო ადამისო და ძისა ადამისა უთესლოდ მშობელო ღვთისა კაცთა მიმართ გარდამოსვლისა მიზეზო და კაცთა ბუნებისა ქვეყანით ზეცად აღმყვანებელო ყოვლად წმიდაო მარიამ მშობელო ემმანუილისაო რომელმან ნებითა და შეწევნითა შენითა ხელ ჰყო არაგვის ერისთვის შვილმან მდივან ბეგმან პატრონმან ბარძიმ თვისისა სასუფეველისა ამის ანანურისა მღვთის მშობლისა საფუძველი-თურთ შენებად მრავალიცა არიან წელნი ცხოვრებისა მისანი და მე წინა მდგომელი თვისი ბალსარშვილი ბოქაულთ ხუცეს ქაიხოსროვ დამადგინა წმიდასა ამას მონასტერსა ზედან სარქრად უწყის ღმერთმან რაც შეძლება მქონდა დღე და ღამ მოუსვენებლად ვშვრებოდი არ ვეც ძილი თვალთა ჩემთა ვირემდის განასრულებდენ მონასტერსა ამას ანანურის ღვთის მშობელო შენ მცველ მფარველ მექმენ სოფელსა ამას შინა კეთილად ცხოვრებითა და სინანულითა და საუკუნოსა მასმინე ხმა იგი საწადელი. ვითარმედ მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრე შენთვის განმზადებული სასუფეველი და ღირს მყავ მე ცოდვილი ნაწილსა მას მართალთასა იმკვიდრენა საუკუნოსა მას ამინ»...

---

*) იხ. «მწყემსი»-ს № 6 1895 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც წაიკითხოთ შენდობას ბრძანებდეთ თქვენცა ღმერთმან შეგინდვნეს... ქორონიკონს **ტოზ.**

(ყოველ სიტყვას სამი წერტილი უზის).

გარეთ გალავნისა დასავლეთის მხრივ არის მიცვალებულის საფლავი, რომელსა ზედა მარმარილოს ქვა სძევს და ზედ არის წარწერა:

ქ. განგებამან არსისა ყოველთა მაარსისმან დასდვა კაცთა დარღვევათ ბუნებისა და მიქცევათ მისი მიწადვე რომლისათვის უწყალომან სიკვდილმან მსწრაფლთა დროთა შინა მოსპო სიცოცხლეცა ჩემი და მიმცა მიწად, რომელი ვიყავ ანანურის სობოროს დეკანოზი იმერეთის თავადთაგანის დავით ნიკოლოზის ძე გაბაონი, დამტკვებელი უძეოდ სასურველისა მეუღლისა ჩემისა დამდები ამა ლოდისა სახსოვრად თვისად, სადაცა განისვენებს გვამი გამზრდელისა ჩემისა მიტროპოლიტის დოსითეოზისაცა და ალვესრულე შრომასა შინა მის სობოროსასა მზ წლისა ალმო მკითხველთ გვედრი ჰყოთ ჩემ ულირსისათვის შენდობა, რათა თქვენცა გაქვნესთ იგი საუკუნოსა მას ცხოვრებასა დეკემბრის კ. დღესა **ჩყლთ** წელსა.

ამ ანანურის ტაძარში განისვენებს გვამი მოწამებრივად გარდაცვალებულის დოსითეოს მიტროპოლიტისა, რომელიც მარხია მარცხნივ გვერდით „კლიროსისა". წარწერა ქვაზედ გადასულია, რადგან დოსითეოსის დამარხვიდგან დიდი დრო არის გავლილი.

დიახ, ანანურის ტაძარი სწორედ აკლდამაა ტანჯულთა და წვალებულთა პირთა და დიდი უბედურების მომგონებელია ეხლანდელი დროის მცხოვრებთათვის.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებაზე და კეთილზნეობაზე.

---

ცხოვრება ღირსისა და ღმერთ-შემოსილისა

მამისა ჩვენისა

## გიორგი მთაწმინდელისა.

(გაგრძელება *)

პატრიარქმა უბრძანა თეოფილე ქართველს, რომელიც პატრიარქთან იმყოფებოდა და რომელიც შემდეგ თარსიის მიტროპოლიტად იქმნა დანიშნული, მოეტანა ნეტარ გიორგისათვის წიგნი, რომელშიაც აღწერილი იყო მოგზაურობა და მოღვაწეობა წმ. მოციქულის ანდრიასი. როცა წიგნი მოიტანეს, ნეტარმა წაიკითხა წიგნის დასაწყისი, მიუბრუნდა პატრიარქს და უთხრა: «უწმიდესო მეუფეო, შენ ამბობ და თავს იქებ მით, რომ ზიხარ უმთავრესი მოციქულის პეტრეს ტახტზე; იცოდე, რომ ჩვენ განათლებულნი ვართ პირველ წოდებულის მოციქულის ანდრიას მიერ, რომელიც არის ძმა მოციქულის პეტრესი, და რომელსაც მოუწოდა პირველმა და უჩვენა ნათელი ჭეშმარიტი. ჩვენ ვართ ხვედრი და სამწყსო ანდრია მოციქულისა; მისგან ვართ ნათელ ღებული. ხოლო ერთი ათორმეტ მოციქულთაგანი, სიმონ კანანელი დასაფლავებულ არის ჩვენს ქვეყანაში, აფხაზეთში, ძველი ნიკოპსიის დაბაში. ამ მოციქულებისაგან არის განათლებული ჩვენი ქვეყანა, და ჩვენც იმ დროიდგან, როცა კი ვსცანით ერთი ღმერთი, არავითარი წინაალმდეგი მისი სჯულისა არა გვიქნია რა, და არას დროს ჩვენი სამწყსო თანამოაზრე არ ყოფილა ქრისტეს სამწყსოის უწინდელ მწვალებლებთან და არც სხვა წინაალმდეგებთან. ეხლა რა საფუძვლით უნდა დაემორჩილოს ჩვენი ეკკლესია თქვენს ტახტს? შემდეგ ნეტარმა დაუწყო მტყუნება

*) იხ. «მწყემსი»-ს № 9 1895 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისგან წამოყენებულ საბუთებს, რომელთა მიხედვით საქართველოს ეკკლესია, პატრიარქის აზრით, უნდა დამორჩილებოდა საბერძნეთის ეკკლესიას. წმიდანმა უთხრა პატრიარქს: «უწმიდესო მეუფეო, მიწოდებული უნდა დაემორჩილოს მიმწოდებელს! წმიდა მოციქული პეტრე, როგორც თავის ძმის ანდრიას მიერ მიწოდებული, უნდა დაემორჩილოს ანდრიას, როგორც მიმწოდებელს და ჭეშმარიტი ნათელის მაჩვენებელს. ამისათვის თქვენი ტახტიც, როგორც ტახტი წმიდა მოციქულის პეტრესი, უნდა დამორჩილებოდა ჩვენს ტახტს, ტახტს მისი ძმისას, მოციქულ ანდრია პირველ წოდებულისას. ამას აი კიდევ რა უნდა დაუმატოთ: «წმიდაო მეუფეო, ეს რომელი ამბობს ჩვენზე, რომ ვითომ ჩვენ არ ვიცოდეთ სარწმუნოება ქრისტესი და არ გვესმოდეს სჯული და თქვენს თავს კი უწოდებთ მართლ—მადიდებლობის მფარველს და მცველს? იცოდე, მეუფეო, რომ იყო დრო, როცა მთელს საბერძნეთში იმოდენად შეირყა მართლ-მადიდებლობა, რომ ძნელი იყო მიეთითებია კაცს რომელიმე კუთხისათვის, რომელშიაც წმიდათ დაცული და აღიარებული ყოფილიყოს მოციქულთა მიერ გარდმოცემული მართლ-მადიდებლობა, ჩვენი ქვეყანა კი როგორც იმ დროს, ისე ეხლაც მტკიცედ იცავდა და იცავს მოციქულთაგან გადმოცემულ საუნჯეს მართლ-მადიდებელი აღსარებისას. იმ ძნელს დროს საბერძნეთის მხარეებში არც კი იყო მართლ-მადიდებელი ტაძარი, რომელშიაც ხელი დაესხათ წმ. იოანნესთვის გოთფის ეპისკოპოსად; ამ მიზეზისა გამო იგი ხელდასხმულ იქმნა ჩვენში, ჩვენს საპატრიარქო ცხოველს და მირონის გამომდინარე მცხეთის სვეტის ტაძარში, და შემდეგ იგი გაგზავნეს გოთფის კათედრაზე, და ამას მოწმობს როგორც ჩვენი, ისე თქვენი სვინაქსარი“.

როცა ნეტარმა გაათავა თავისი სიტყვა, პატრიარქი მიუბრუნდა საღმრთო მასწავლებელთ და იქ მდგომარე ხალხს და რქვა; «ხედავთ ამ ბერ-მონაზონს, რომელიც მარტოდ მარტო ყველაფერში გვაძლევს ჩვენ ვრცელს და კანონიერ პასუხს! ნუ ვეწინააღმდეგებით მას, თორემ იგი როგორც სიტყვით ისე საქმით დაგვიმტკიცებს ჩვენი მოთხოვნილების უკანონობას და იგი გვძლევს ჩვენ». შემდეგ ამისა ნეტარი, რომელმაც ასე საჯაროთ აღიარა თავისი სარწმუნოება და დაიცვა თავისი ეკკლესია, დიდად პატივცემული შეიქნა როგორც პატრიარქისაგან, ისე ანტიოხიის ყველა მოქალაქეთაგან! ყველანი ისე უცქეროდნენ მას, როგორც თავისს მასწავლებელს; თვით პატრიარქი თავისი სულის ყველა საქმეების შესახებ ნეტარს ეკითხებოდა ხოლმე რჩევას.

როცა კეთილ-მსახურმა მეფე ბაგრატმა შეიტყო, რომ ნეტარმა თითქმის უკვე დაასრულა საეკკლესიო წიგნების თარგმნა და მისი ნათარგმნი წიგნებით მოიფინა ყველა მონასტრები, საკვირველს მთაზე აღშენებულნი, რომლებშიაც უმეტესად ქართველი ბერ—მონაზვნები ცხოვრებდნენ, და აგრეთვე ყველა ქართველი მონასტრები, რომელნიც იმყოფებოდნენ ანტიოხიის და იერუსალიმის ეპარქიებში, ბრძანა გადაეწერათ ეს წიგნები თვით საქართველოში სახმარებლად. ამ საქმეს მომეტებულად ხელი მოჰკიდა და დიდხანსაც ცდილობდა აფხაზეთის წმ. ვარლამის მონასტრის წინამძღვარი ნეტარი ანტონი ლიპარიტი, რომელიც თავად ორბელიანების სახლეულობის შთამომავალი იყო; აფხაზეთში გაიგო კეთილ-მსახურმა მეფე ბაგრატმა ნეტარი გიორგის შრომანი სასარგებლოდ ეკკლესიისა. ანტონმა თავის უდაბნოდან დიდი საჩუქრები გაუგზავნა წმიდანს მისი შრომისათვის, და შემდეგისათვისაც სავალდებულოდ დაიდვა, თავისს სიკვდილამდე, იგზავნა ხოლმე ყოველ წლობით ნეტარისათვის სხვა და სხვა საჩუქრები და ამით გამოეხატა თავისი თანაგრძნობა ნეტარის შრომისადმი, გარდა ამისა ანტონიმ დასწერა ბევრი ქებითი სიტყვები ნეტარის შესახებ და ფრიად შეაქო ნეტარის შრომა. ცოტა ხნის შემდეგ საქართველოს ყველა მონასტრები და ტაძრები გამშვენდენ და გამდიდრდენ ნეტარის ნათარგმნი წიგნებით; თითოეული უდაბნო და ტაძარი ცდილობდა და თავის წმიდა მოვალეობად სთვლიდა გადაეწერა და ქონებოდა ნეტარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგის ყველა წიგნების, რომლებიც უწინ არ მოიპოებოდნენ საქართველოს ეკლესიებში.

მეფე ბაგრატმა, მისმა მემკვიდრე გიორგიმ, დაქვრივებულმა დედოფალმა მარიამმა, კათალიკოსმა და ყველა ეპისკოპოსებმა ერთხმად დაადგინეს გამოეწოდებიათ ნეტარი ანტიოქიიდკან საქართველოში, რომ პირის პირ ეხილათ მშვენება და სიმტკიცე თავისი ეკკლესიისა და მიეღოთ მისგან დარიგება და კურთხევა. მეფემ თავისი, თავის მეუღლის და დედის სახელით მისწერა ნეტარს შემდეგი წერილი: «წმიდაო მამაო! საკვირველის მთაზე ჩვენი უდაბნოები ძლიერ მკირეა, ამასთანავე იგინი იმყოფებიან სხვის სამფლობელოში, და შენგან უცხო მხარეში; ხოლო სამეფო ჩვენი ვრცელია, და სხვა სახელმწიფოთა შორის უკავია მაღალი ადგილი, აქ ეპისკოპოსების კათედრა, ტაძრები და მონასტრები ბევრია. უფალმა ღმერთმა ინებოს მოვლინება თქვენი ჩვენში, რათა გვაკურთხო, და განანათლო სული ჩვენი“. «წმიდაო მამაო», სწერდენ იგინი, «მარტო თქვენგან ნათარგმნი წიგნებით ნუ კი გამშვენდება და განათლდება ჩვენი ტაძრები; გვსურს, რომ ჩვენ თვითონ გავნათლდეთ და ჩავაბაროთ ჩვენი მემკვიდრე და მთელი სახლობა ჩემი, რათა იგი, განგებულ და დარიგებულ იქმნეს თქვენი უწმიდესობისგან“.

როცა ნეტარმა ეს წერილი მიიღო, სულით შეწუხდა; იგი ყოველის მხრით ცდილობდა მოერიდებოდა კაცთა ქება-დიდებას და ამაო წუთი სოფლის ზრუნვას, ეხლა კი ძალა უნებურათ უნდა ჩავარდნილიყო მასში, რასაც ასე ერიდებოდა; გარდა ამისა მას ეშინოდა, რომ მისთვის ეპისკოპოსობა არ მიეცათ და ამით არ მოეკლოთ იგი ტკბილს ბერმონაზვნურ ცხოვრებას.

მაგრამ შემდეგ დათანხმდა და მალე გაემგზავრა საქართველოსკენ ზოგიერთი თავისი მახლობელი მოწაფეებითურთ.

ფოთის ქალაქს უფროსმა აცნობა მეფე ბაგრატს ნეტარის და მისი მოწაფეების მოსვლა. ამ დროს მეფე თავისი სახელმწიფოის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის ოლქებში, ე. ი. ქართლში, იმყოფებოდა. მეფემ დაუყოვნებლივ გაგზავნა მათ შესაგებებლად თავისი მდივანი, და უბრძანა, რომ ნეტარი დიდის პატივისცემით მიეღოთ და მიეყვანათ იგი სასახლეში, ქ. ქუთაისში. მათ თან მოჰყვა ქუთაისის ეპისკოპოსი, სახელად ილარიონი. იგინი ქუთაისიდგან ერთად გაემგზავრენ ქართლში, სადაც ამ დროს იმყოფებოდა მეფე. როცა ისინი სამი საათის სასიარულო მანძილზე მიუახლოვდენ მეფის ბინას, მეფემ შემოაგება მათ ეპისკოპოსები და დიდკაცობა, და თვითონ კი ელოდა მათ თავის სადგომის კარებთან. აქ მეფე დიდის სიხარულით მიეგება ნეტარს, გადაეხვია მას, დაკოცნა, მიიღო მისგან ლოცვა-კურთხევა, და მერე ხელ ჩაკიდებული შეიყვანა იგი თავის კარავში, სადაც გამზადებული იყო სადილი. მეფემ გვერდით მოისვა ნეტარი და მომეტებულ სიხარულისაგან უეცრად წამოიძახა: «კურთხეულ არს ღმერთი; დღეს დადგა ჩემი სამეფოის ხსნა, ვინაიდგან ვხედავ ჩემს წინაშე ახალს ოქროპირს“. მეფესთან ერთად ხარობდენ ყველა ღვთის მოშიში და ქრისტეს მოყვარული დიდ-კაცობა და სიხარულით ამბობდნენ: «კურთხეულ არს უფალი, რომელმაც მოგვივლინა ჩვენ ასეთი კაცი ჩვენი ცხოვნებისათვის».

ამ დროს მეფე ეომებოდა აჯანყებულს თავად აბაშიძეებს, რომელთაც ხელთ ეპყრათ დიდი სიმდიდრე და რომელთაც თავისი ძალით და დიდ-ძალი ხალხის დახმარებით სურდათ დაეტუსაღებიათ თვით მეფე და გაენადგურებიათ მისი სამფლობელო; მეფე დიდი ხნიდგან ცდილობდა მეამბოხეთა დამშვიდებას; ბოლოს შეკრიბა ჯარი და საბოლოოდ დაამარცხა მეამბოხენი, დაატყვევა ხუთი ძმა აბაშიძეები. როცა მეფე გამარჯვებული დაბრუნდა უკან, ნეტარი შევიდა მეფესთან კარავში და მიულოცა მას გამარჯვება; ამაზე მეფემ მიუგო: «მამაო წმიდაო, დიდი ხანია ვცდილობდი დამემშვიდებია ქრისტეს მტერნი, მაგრამ ვერ შევსძლე ჩემი სურვილის შესრულება; ეხლა კი ღმერთმა მოგვანიჭა ჩვენ გამარჯვება შენი წმიდა ლოცვის მეოხებით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საეჭვო კითხვების განმარტება.

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი პატივცემული გაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებით განგვიმარტოთ შემდეგი საეჭვო კითხვები და მით გამოგვიყვანოთ იჭვნეულობისაგან:

1. გამოძიება მეტრიკული მოწმობის მიცემის შესახებ ბლაღოჩინებს ეკუთვნის თუ სასულიერო გამომძიებელთ?

2. ბლაღოჩინს, რომელსაც მინდობილი აქვს მეტრიკული გამოსაძიებელი საქმე, შეუძლია თუ არა თვისთავად გადასცეს ეს საქმე გამოსაძიებლად სასულიერო გამომძიებელს?

3. მომრიგებელ-მოსამართლის გარდაწყვეტილების გარეშე შეუძლია თუ არა სასულიერო გამომძიებელს ჯარიმა დაადვას მოწმებს დაბარებაზე მოუსვლელობისა და პატივ-სადებ მიზეზის წარმოუდგენლობისათვის და თუ შეუძლია, რამდენით? (ან კმარა მარტო ჩვენება? მუხ. 113, ტ. XV კან., თუ მოწმების გამოუცხადებლობაზე უნდა მივმართოთ მსაჯულთ?)

4. რამდენი წლის უბიწოდ სამსახურისათვის მიეცემა სასულიერო გამომძიებელს ანნას ჯვარი?

5. თავისი თანამდებობისა მებრ სასულიერო გამომძიებელი რომელი სასულიერო თანამდებობის პირზე მეტია, ან ნაკლები. ნუ მიაწერთ ბ. ჩემს მისწრაფებას, ვითომ, მე ვფიქრობდე სხვაზე ზევით დადგომას, გინდ უფლებას?

6. რიგია თუ არა კამილავკით, ან სკუფიით დაჯილდოებულს მღვდელს ღვთის-მსახურების დროს გარდაც ქსურის თავზე ეს ჯილდოები სოფლებში, დაბებში სიარულის დროს და სასამართლოებში?

7. უჯვროდ შობილმა ვაჟმა ჯვარი დაიწერა თავის აღრჩეულ-სასძლოსთან, ჩაიწერა საეკკლესიო საბუთებში ასე: უჯვრო შობილი ეს და ეს—ცოლი მისი ეს და ეს და შვილები.... ამ უჯვროდ—შობილს, ან იმის შთამომავლობას გვარი აღარ მიეცემა?

8. რიგია თუ არა მედავითნეებმა თავიანთი შესაფერი ტანთ-საცმელნი დასტოვონ და იარებოდნენ ეხლანდელი «მოდის» შეკერილი ჩოხებით და საქალეებში მასრები ქონდესთ ჩვენებურად (ქილა), რევოლვერი, თუ სხვა იარაღები. საზოგადოთ მედავითნეებს როგორი ტანთ-საცმელი უნდა ქონდესთ, ან მათი შესაფერი ტანთ-საცმელი რა ნაირია?

9, შეიძლება თუ არა მღვდელმა ესროლოს თოფი რომელიმე გარეულ ნადირს ან ფრინველს და მისი თოფით მოკლული ნადირის ხორცი იჭმევა თუ არა?

10, გარდა მღვდელთა გვამისა ერისკაცთა გარდაცვალებულთა გვამი მიუცვალებლად უნდა განბანოს, თუ არა წყლით კუბოში ჩასვენების დროს? (მათ რიცხვში ვიფიქროთ გადამდები სენით გარდაცვალებულთა გვამიც).

11, ორი ავათმყოფი ერთი უბრალო სახლში ქ. ი. ზალაში წევრან, ასე რომ აქენება მათი, გინდ მოძრაობა მოუხერხებელია, ხოლო გრძნობა კი ორივეს აქვს და აღსარების თქმა შეუძლია. ამ გვარ შემთხვევაში მღვდელი, როგორ უნდა მოიქცეს და მიუცილებელი აღსარება როგორ უნდა ათქმევინოს წმ. საიდუმლოს მისაღებლად. რომ ნელა ამოკითხო, არ ესმის მოხუცებულობისა, თუ სხვა მიზეზისა გამო და ხმა მაღლივ რომ ჩავითხო, მაშინ უეჭველად ავათმყოფები ერთ-მეორის სიტყვას, თუ მოძღვრისას გაიგონებენ?

12, შეიძლება თუ არა მღვდელმა აზიაროს იმისთანა ავათმყოფი, რომელსაც ენა აქვს ჩავარდნილი და გრძნობა დაკარგული და თუ არ შეიძლება, როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი მაშინ, როდესაც ჭირისუფალი ძალას ატანს ავათმყოფის ზიარებისათვის?

და 13, სასულიერო კონსისტორიის წესდების ძალით რომელ ბლაღოჩინსაც ებარება თუთხმეტი შტატის ეკკლესიაზე მეტი, შეიძლება მას მიეცეს თანაშემწე? მაგალითად ბლაღოჩინს აბარია თორმეტი, თუ ცამეტი შტატის ეკკლესია, მას შეუძლია თუ არა ითხოვოს თანაშემწე და მიეცემა თუ არა?

სასულიერო გამომძიებელი მღვ. სამონ ჩანიბაია.

## მ ი გ ე ბ ა.

1, ბლაღოჩინს ეკუთვნის და არა გამომძიებელს, ასეა გარდაწყვეტილი სინოდალნი კანტორისაგანაც.

2, პატივსადებ მიზეზთა გამო შეუძლია თანაშემწეს გადასცეს გამოსაძიებლად და თუ თანაშემწე

არა ჰყავს, მაშინ შეუძლია გამომძიებელსაც გარდასცეს, მაგრამ საქმის წარმოების სისწორეზე მან უნდა აგოს პასუხი.

3, გამომძიებელს არ შეუძლია დაჯარიმება მოწამისა, რომელიც დაბარებაზე არ გამოცხადდა. გამომძიებელი წარადგენს მოსამართლესთან და ის დააჯარიმებს თავის შეხედულებისამებრ.

4, გამომძიებელს სამსახურისათვის კანონით ანნას ჯვარი არ აქვს დანიშნული, მაგრამ მღვდელმთავარს შეუძლია წარდგინება და კარგი წარდგინებით შეიძლება დაჯილდოებაც.

5. მაცხოვარმა ბრძანა: რომელსაც უმაღლესობა სურს, ყველაზე უმდაბლესად შერაცხოს თავიო. ამას თუ არა ვყოფთ უარს, მაშინ ყველაზე უკან უნდა დავსდგეთ!. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, გამომძიებელს არ შეუძლია წინ დაუდგეს მის წინ ნაკურთხს მღვდელს. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ იქცევიან: ერთი გამომძიებელი, რომელიც წინეთ თურმე სხვა სამსახურში იყო და საერო ჩინი აქვს მიღებული, ასე აწერს ხელს: «გუბერნსკის სეკრეტარი, მღვდელი და სასულიერო გამომძიებელი»!!.

6, კამილავკის, სკუფიის და სხვა ჯილდების ტარების შესახებ ჩვენში განსაკუთრებით ძლიერ უწესოება სუფევს. ჩვენ დავაკვირდით პეტერბურღში, მოსკოვში და სხვაგანაც, მაგრამ ერთი მღვდელი ვერ ვნახეთ, რომ კამილავკას, სკუფიას და ორდენებს ატარებდეს ქუჩებში და მგზავრობასა და სეირნობის დროს. ზემოხსენებულ ადგილებში კამილავკას, სკუფიას, ენქერს და «ნაბედრენიკს» ხმარობენ ტაძრებში ღვთის-მსახურების დროს, უფროს პირთან წარდგომის დროს და როცა კრებებზე ესწრებიან, სადაც ვალდებულია ყველა ფორმით იყოს გამოწყობილი. საერო ორდენებს წირვის დროს აღარ ხმარობენ. მაგრამ დღესასწაულ დღეებში და როცა უფროს პირთან წარდგებიან, ან კრებებში ესწრებიან, მაშინაც ატარებენ. უბრალო დღეებში და უმიზეზოთ არავინ არ ხმარობს. ამ შემთხვევაში ზოგიერთები და განსაკუთრებით ჩვენში, ნამეტან ახირებულად იქცევიან. აქაო და დაგვაჯილდოესო, აღარც დღე და აღარც ღამე აღარ იშორებენ კამილავკას სკუფიას და ორდენებს. ზოგი ისე გატაცებულია გულ საკიდი ჯილდოებით, რომ არ რცხვენოდეს, ორ-სამს დაიკიდებს მკერდზედ. ამას კიდეც ჩადიან ზოგიერთები. მაგალითებ, როდესაც ვინმე კამილავკას, მიიღებს სკუფიაღარ უნდა იხმაროს. როდესაც მეორე ხარისხის ანნას ორდენს მიიღებს, მესამე ხარისხის ორდენი აღარ უნდა იხმაროს. მაგრამ შენც არ მომიკვდე. აბა დააკვირდით, რამდენს კიდია გულზე მესამე ხარისხისაც და მეორესიც. დააკვირდით კარგად, რა მუყაითობით და გულს მოდგინებით იჭრელებს მკერდს სხვა და სხვა უბრალო ნიშნებით და სიმრავლისთვის ისეთ ორდენებსაც იკიდებს, რომლის ტარება არც კი შეიძლება. რაიცა შეეხება ზოგიერთ სამღვდელო პირთ, იმათ ისე შეუყვარებიათ ეკკლესიაში სატარებელი ზოგიერთი ნიშნები, რომ მზათ არიან, თითქმის, „ნაბედრენიკიც“ ქუჩაში ატარონ, რომ არ დაუშლიდნენ. და რა მიზეზია, რომ ჩვენებს ასეთი შეხედულება აქვსთ ჯილდოებზე? იმისი, რომ ჯერ ჩვენ განათლებით ძლიერ დაქვეითებული ვართ და ველურ ხალხიდგან ბევრით არ განვირჩევით. გადაათვალიერეთ ჩვენი წმიდა მამების ცხოვრება, აბა თუ ნახავთ მათში რომლიმეს ზიზილ-პიპილებით შეჭედილს. მაგრამ ღმერთმან კარგი მოგცესთ, კარგად ისინი მსახურებდენ...

დღეს კი ჰგონიათ, თუ დაჯილდოებული ვარ, სწორეთ საქმე გამიკეთებია და ნაყოფიც მომიტანია ქრისტეს ყანაშიო... ის არის სამწუხარო, რომ ქრისტეს შემდეგი სიტყვები აღარ ახსოვსთ ზოგიერთებს: «მიმსგავსებულხართ სამარეთა განგოზილთა, რომელნი ჰჩანედ გარეშე შვენიერ, ხოლო შინაგან სავსე არიედ ძვლებითა მკვდართათა და ყოვლითა არაწმიდებითა».

7, ამნაირად ჩაწერა არავისი არ შეიძლება. «უჯვირო შობილია თუ ჯვრიანი, დედა ხომ ჰყავდა და დაბადებულიც დედის გვარით უნდა ჩაიწეროს. სიტყვის: «უჯვიროდ შობილი, უკანონოდ შობილი“-ს ხმარება მეტრიკაში სინოდალნი კანტორისა და სინოდისგანაც აკრძალულია. შენ უნდა დაწერო დაბადების და მონათვლის რიცხვი და ვისგან დაიბადა და ამ დაწერილიდგან გამოსჩნდება დაბადების კანონიერობა, რადგან მამა არ ეყოლება გვირგვინ ნაკურთხით ორემ დაბადებით ერთნაირად იბადებიან ყველანი»..

8, მედავითნეებს და ეკკლესიის მოსამსახურეთ არა აქვსთ უფლება ეხლანდელი «მოდის» ჩოხებით და ქილებით გამოიწყოს და ზედ რევოლვერის დასაკიდებელი ქამრები შემოირტყას. ეკკლესიის მოსამსახურეთა უნდა ეცვასთ კაბა, ან ჩოხა, მაგრამ ქილები არ უნდა ჰქონდეს. ძველ დროში ქამრებზედ ეკიდათ პატარა საქონე თოფისა და ფიშტოსათვის სახმარებელი და ამ სამკაულს ეხლაც აღარ იშლიან ზოგიერთები, თუმცა ეხლანდელი დროის თოფები და ფიშტოები ქონის ხმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებას არ თხოულობენ. ერის კაცებში რომ დარჩეს ამისთანა სულელური ჩვეულება, ისიც სირცხვილია და ეკკლესიის მოსამსახურეს როგორ შეეფერება ესეები? მაგრამ ვინ არის დამშლელი. მღვდლებიც არ იქცევიან ამ შემთხვევაში კარგად, ზოგი ისეთ ჭრელ ანაფორას იკერავს, რომ გაგაოცებს შეხედვა და ზოგი თმებს ქალურად იწნავს და ბოლოს «ლენტით» იკრავს. ტანისამოსით კაცი არ გაისინჯება, მაგრამ ზევრს კი ამდაბლებს საზოგადოების თვალში ახირებული ტანთ-საცმელი.

9. თოფის და საომარი იარაღების ხმარება მღვდელს მისი ხარისხით აკრძალული აქვს და რა მღვდლის საქმეა ნადირობა, თორემ ირემი ან მშველი რომ მღვდლისგან განასროლი ტყვიით ან ქვით მოკვდეს, თუ დაკვლა მოასწრეს, იმით კი არ შეიგინება ხორცი! ზოგიერთ ადგილას ჩვენში ქალებისაგან დაკლულს ფრინველს არ ჭამენ, ევროპაში კი ამას არ გადევენ. ჩვენი ზნე-ჩვეულება უფრო მეტად ჰუმანიურია ამ შემთხვევაში.

10. უთუოდ უნდა გასუფთავდეს გვამი გარდაცვალებულისა კუბოში ჩასვენების დროს, რა სნეულებითაც უნდა იყოს იგი გარდაცვლილი.

11. მაგისთანა შემთხვევა მღვდელს არ შეხვდება. თუ შეხვდა, ლოგინიანათ უნდა გაიყვანო მეორე ოთახში ან გარეთ და გათავდა საქმე!..

12. ენა ჩავარდნილი და გრძნობა დაკარგული ავადმყოფის ზიარება არ შეიძლება, რამდენიც უნდა ითხოვონ ჭირისუფლებმა. ჭირისუფლებს უარი უნდა უთხრას მღვდელმა და შინ წავიდეს.

13. რამდენი შტატიც უნდა ყავდეს საბლაღოჩინოში ბლაღოჩინს, მას თანაშემწეს არავინ განუწესებს, თუ თვითონ არ მოითხოვა და თვითონ თუ თხოულობს, შეუძლია განაწესოს თანაშემწე, რვა შტატიც რომა ჰყავდეს მარტო.

რედაქტორი.

---

## შეწირულებანი.

დავით აღმაშენებლის სასაფლაოს სამლოცველოს განსაახლებლად და დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსაზოგებლად ჩვენ მივიღეთ შატიოცემულის ჭელიმის მონასტრის წინამძღვრის მამა არხიმანდრიტის ნიკიფორესაგან შეკრებილი 7 მან. 40 კ., რომლის შემომწირველთა სიას აქვე ვბეჭდავთ:

მღვდელ-მონაზონმა ნიკიფორემ 1 მ., მღვდელ-მონაზონმა ილარიონმა 1 მ., იერო დიაკონმა ვასილმა 1 მ., მღვდელ-მონაზონმა კირილემ 1 მ., მღვდელ-მონაზონმა ნიკოლოზმა 1 მ., მორჩილმა ნიკო დავითიამ 25 კაპ., მლოცველთაგანმა გერასიმემ 50 კ., მორჩილმა მალაქიამ 50 კ., დიაჩოკმა ნიკო ციხისთოვმა 15 კაპეიკი.

ამავე მიზნით ჩვენ მივიღეთ მამა ანტონ ჩიქვანისაგან ხუთი მანეთი, რომელთაგან მის მრევლში მობოძილია სამი მანეთი და მატრონა ელიავას ასულისაგან 1 მ., დიუდმელა კუჭუხიძისა გოგიტიძის ასულისაგან 1 მანეთი და სრულიად 12 მან. და 40 კ.

ამ ფულებისა დღემდე იყო სულ 3226 მ. 76 კ. ამიანად იქნება 3239 მან. 16 კ.

---

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ მე და ჩემმა მრევლმა ქ. მოსკოვში მცხოვრებელს მოვაჭრეს გ. იუდინისას, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს ანანურის მაძინების სობოროს: ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა, კოვზი, ორი განსაზავებელი ბრონზისა დაოქროილნი, და ორი წყვილი ტრაპეზზედ ჩასაცმელნი დიბისა, ღირებულნი 650 მანეთისა.

ამასთანავე ვთხოვ, უოველ მართლ-მადიდებელთ ქრისტიანეთ და ეკკლესიის მოსამსახურეთ, შემწეობა აღმოუჩინონ ზემოხსენებულს ანანურის სობოროს განახლებისათვის ფულით, ვისაც რაც სურდესთ, რომლის ხარჯთა აღრიცხვა შედგენილია არხიტექტორისაგან და საქმე დაწყობილია, ხოლო ფული არა აქვს საკმარისი.

ჩემი ადრესი: სტანცია ანანური.

წევრი ანანურის სობოროს განახლების კომიტეტისა
მღვდელი კირილე მამისოვი.

დამზღვევი საზოგადოება

## „იაკორი"

(ღ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან,

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. ამ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მ. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კი თვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, კავკასის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2) და იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის სადგილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. 6

მიიღება ხელის-მოწერა 1895 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

## „მწყემს"-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

ფასი ჟურნალისა:

| | |
|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» 5 მ. | 6 თვით «მწყემსი» 3 მ. |
| — „ ორივე გამოცემა 6 » | — „ ორივე გამოცემა 4 » |
| — „ რუსული „ 3 მ. | — „ რუსული „ 2 მ. |

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ" и «ПАСТЫРЬ».

ისყიდება

კანცელარიის ნივთების მაღაზიაში

ი. მურადოვის—ქუთაისში

ყოველგვარი რვეულები

პირველი ღირსების ასი ცალი ღირს 3 მან.

მეორე » » » » 2 მან.

აგრეთვე სხვა და სხვა ამ გვარი ნივთები ისყიდებიან ფრიად იაფად.

შინაარსი. თბილისის თავად-აზნაურთა საბანკო კრების გამო.—საყურადღებოთ.—შენიშვნა.—ათეისტი და ლოცვების მნიშვნელობა.—საისტორიო მასალა.—ანანურის ტაძარი.—გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღწერილობა.—
საეჭვო კითხვების განმარტება.
შეწირულება.
განცხადება.

Редакторъ-издатель, П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою. Тифлисъ,* 28 Мая 1895 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ кутаисѣ, помѣщ. въ д. бр.Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.